ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2023-31

ქ. თბილისი 27 მარტი, 2023 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობა,** წარმოდგენილი მისი გამგებლის ოთარ ცოტნიაშვილის სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **ინდ მეწარმე ილია ხადური** (ს.ნ. 59003003638) (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის ა) პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ,,ხელშეკრულება") შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – ,,ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი:

2.1 ხელშეკრულების საგანია ერედვის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სახსრებით, ერედვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (კედლის სპლიტ-კონდიციონერები) გადაზიდვის მომსახურება (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში -მომსახურება)

2.2. კლასიფიკატორის კოდი: CPV63110000 - ტვირთის გადაზიდვის მომსახურებები .

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების და სხვა ხარჯების გათვალისწინებით (ტრანსპორტირება, გადმოტვირთვა, დასაწყოება და სხვა) შეადგენს **100,00 /ასი ლარი და 00 თეთრი /** ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

4.2 ხელშეკრულების კონტროლის, გასაწევი ან გაწეული მომსახურების მოცულობისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისა და მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირების საკითხებში მიმწოდებელთან ითანამშრომლებს შემსყიდველის მიერ ამისათვის გამოყოფილი უფლებამოსილი პირი - ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ალექსანდრე მაისურაძე.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადა

5.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოფს ერედვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (კედლის სპლიტ-კონდიციონერები) გადაზიდვა ქ. თბილისიდან - გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ხურვალეთამდე, ასევე გადმოტვირთვა და დასაწყოება.

5.2 მომსახურების მიწოდების ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 4(ოთხი) კალენდარული დღე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს აქტში მითითებული თანხის შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

7.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

7.3 ანგარიშსწორება მოხდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ფასები

8.1 გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს და მისი შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაუშვებელია.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. პასუხისმგებლობა

11.1 მიმწოდებელი ვალდებულია 2023 წლის 27 მარტიდან 2023 წლის 31 მარტამდე განახორციელოს მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

11.2 მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება ხელშეკრულების 12.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.5 ამ მუხლის მე-6 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16. გამოყენებული სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

18. შეტყობინებები

18.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

21. სხვა პირობები

21.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

21.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

21.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონული ვერსია ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

21.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

21.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

ერედვის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N89/24
ს/კოდი 218065055
სახელმწიფო ხაზინა
GE24NB0330100200165022
კოდი: TRESGE22

Tel: 595 33 94 00

ოთარ ცოტნიაშვილი

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

Eredvi Municipality
Digitally signed by Eredvi Municipality
Date: 2023.03.27 10:44:22 +04'00'

მიმწოდებელი:

ინდ. მეწარმე ილია ხადური
მის: გორი/მუსხელიშვილის ქ. №32
ს/კოდი: 59003003638
მიმღები ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი“
ა/ა GE32LB0711106951571240
ბ/კოდი: LBRTGE22

Tel: 8 98985120

ილია ხადური

ინდ. მეწარმე

Ilia Khaduri 59003003638
Digitally signed by Ilia Khaduri
Date: 2023.03.27 10:36:06

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი **27 მარტი 2023 წელი**

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ N2023-31 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით **ინდ. მეწარმე ილია ხადური** -სგან მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (კედლის სპლიტ-კონდიციონერები) გადაზიდვის მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

---------- ოთარ ცოტნიაშვილი

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ალექსანდრე მაისურაძე

Aleksandre Maisuradze 59003002098

Digitally signed by Aleksandre Maisuradze
Date: 2023.03.27 10:37:20